პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 233 (5523)
23 ნოემბერი, კვირა, 1975 წ.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ცნობილია, რომ ფარიკაობაში დიდი მასშტაბის შეჯიბრებით განებივრებულნი არა ვართ. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ 1960 წელს თბილისში პირველად გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშება. მერე კი 13 წელიწადს დუმდა ჩვენი რესპუბლიკის საფარიკაო ბილიკი. მხოლოდ 1973 წელს გაიმართა ასეთი მასშტაბის ასპარეზობა ჩვენი დედაქალაქის სპორტის სასახლეში.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ მსგავსი შეჯიბრებები კეთილისმყოფელად მოქმედებს არა მარტო სპორტულ ოსტატობაზე, არამედ ფარიკაობის პოპულარობაზეც. დიახ, ჩვენ მოკლებული ვართ დიდ შეჯიბრებებს, რაც, რასაკვირველია, უარყოფითად აისახება ქართული ფარიკაობის შემდგომ განვითარებაზე.

და აი, გუშინწინ თბილისში დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების სპორტკლუბთა შეჯიბრება, რომელშიც 400-მდე მუშკეტერი მონაწილეობს. დამთავრდა პირადი პირველობა ხმლით ფარიკაობაში. I ადგილი დაიკავა ნოვოსიბირსკის რადიოტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელმა ა. ტროშკინმა. II ადგილზე გავიდა თბილისელი თ. ესართია (სპი), ხოლო III ადგილი წილად ხვდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს ი. სიფრაშვილს.

შეჯიბრება გრძელდება.

ვ. ფცქიალაძე.

* * *

სურათზე: სარბიელის საერთო ხედი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ყინულის მოედნებზე

გუშინწინ გაიმართა ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატის სამი კალენდარული მატჩი. ლუჟნიკის სპორტის სასახლის ყინულის სარბიელზე მოსკოვის დინამოელებმა ნოვოსიბირსკის „სიბირს“ უმასპინძლეს. თამაში უაღრესად მძაფრი გამოდგა. მოსკოველთა მდგომარეობას ძალიან ართულებს მათი იერიშების ლიდერის მალცევის არყოფნა, რომელიც ტრავმის გამო, როგორც ჩანს, დიდი ხნით გამოვიდა მწყობრიდან. ასეა თუ ისე, სპეციალისტთა უმეტესობას „დინამოს“ გამარჯვება ერთ-ერთ აუტსაიდერთან არ ეეჭვებოდა, მაგრამ „სიბირმა“ ძლიერად ითამაშა და 2 ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში. სტუმრებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 5:4 (0:1, 4:0, 1:3).

შაიბები გაიტანეს: მასპინძელთაგან — ვასილიევმა, მოტოვილოვმა, ვ. ფილიპოვმა და რეპსმა; სტუმართაგან — ნებოლსინმა (2), შამოვცევმა, კაპკაიკინმა და იაკოვლევმა.

ვოსკრესენსკში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ხიმიკი“ და გორკის „ტორპედო“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:0 (0:0, 1:0, 3:0). ეს „ხიმიკის“ ზედიზედ მესამე მოგებაა, რამაც გუნდს ბოლო ადგილი „დააკარგვინა“.

შაიბები გაიტანეს: ჟუჩოკმა (2), ა. გოლიკოვმა და ერმიშინმა.

გათამაშების ლიდერმა — მოსკოვის „სპარტაკმა“ ქულა დაკარგა რიგაში ადგილობრივ არმიელთა გუნდთან მატჩში. სპარტაკელებმა რიგელებთან მანამდე ორი მატჩი წააგეს და ამჯერად ძალიან ფრთხილად მოქმედებდნენ. მათი უპირატესობა მაშინ ჩანდა, როცა მოედანზე იაკუშევსა და მის პარტნიორებს ვხედავდით. სწორედ ერთ-ერთ ასეთ მომენტში კოროტკოვმა მასპინძელთა კარში გაიტანა შაიბა. შეხვედრის ბოლო წუთზე, როცა იაკუშევი „საბრალდებო სკამზე“ დასვეს, აბალმასოვმა თანაფარდობა აღადგინა. ამრიგად, მატჩი ფრედ დამთავრდა — 1:1 (0:1, 0:0, 1:0).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
„სპარტ.“	24	14	5	5	122—88	33
„დინ.“ მ.	23	15	1	7	113—69	31
ცსკა	23	12	3	8	115—74	27
„კრ. სოვ.“	23	13	0	10	103—91	26
„დინ.“ რ.	16	7	1	8	57—55	15
„ტრაქტ.“	17	6	3	8	66—68	15
„სიბირი“	17	7	0	10	59—108	14
„ტორპ.“	16	6	0	10	46—66	12
„ხიმიკი“	17	5	1	11	41—65	11
ასკ	18	4	2	12	61—99	10

ცნობილაძე, თედიაშვილი, ანდიევი და სხვები...

სსრ კავშირის თასი თავისუფალ ჭიდაობაში

ლენინგრადი, 21 ნოემბერი. აქ დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. პირველი შედეგები ასეთია: „ბურევესტნიკი“ — „ტრუდი“ 35:4, შეიარაღებული ძალები — „დინამო“ 24:14. „ლოკომოტივმა“ დაამარცხა სოფლის სპორტსაზოგადოებათა ნაკრები, „სპარტაკმა“ — „შრომითი რეზერვები“.

ცალკეული შერკინებებიდან უნდა გამოვყოთ სსრ კავშირის 1974 წლის ჩემპიონის, არმიელი ე. იგაევის შეხვედრა დინამოელ მ. ცნობილაძესთან (100 კგ). დასაწყისში მსაჯებმა კინაღამ მოხსნეს იგაევი პასიურობისთვის — მან ორი გაფრთხილება მიიღო. მერე კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ცნობილაძე — ისიც ორჯერ გააფრთხილეს. შერკინების მიწურულს ქართველმა ათლეტმა ეფექტური ილეთი ჩაატარა და წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

მსოფლიო ჩემპიონი ლ. თედიაშვილი („ლოკომოტივი“) გუნდის ინტერესებისთვის ქვემძიმე წონაში გამოდის. მას სერიოზული მეტოქეობა გაუწია ახალგაზრდა სოფლის სპორტსმენმა ი. მატემ. მხოლოდ დიდმა ცოდნამ და გამოცდილებამ მოუტანა გამარჯვება მსოფლიო ჩემპიონს.

მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონი, დინამოელი ს. ანდიევი დიდი გაჭირვებით გადაურჩა მარცხს არმიელ ს. ხასიმიკოვთან. პირველ ექვს წუთში არმიელი მოჭიდავის უპირატესობა აშკარა იყო: მან 6 ქულა დააგროვა. მსოფლიო ჩემპიონი მხოლოდ ამის შემდეგ მოვიდა გონს და მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა.

შეჯიბრება გრძელდება.

ნ. გაფრინდაშვილ — ნ. ალექსანდრიას მატჩი მსოფლიო პირველობაზე

• •

დრამატული ფინალი

როგორც „ლელოს“ გუშინდელ ნომერში ვიუწყებოდით, გადადებული პარტიების დამთავრებისას მეტოქეებმა თამაში მხოლოდ IX პარტიაში განაგრძეს. გთავაზობთ ამ პარტიის ფინალს (მისი დასაწყისი დაბეჭდილია „ლელოს“ 21 ნოემბრის ნომერში):

ალექსანდრია



გაფრინდაშვილი

სპეციალისტების აზრით, ეს პოზიცია რთული და მწვავე იყო. ანალიზმაც ეს დაადასტურა. მსოფლიო ჩემპიონმა თამაშის განახლებამდე მეტოქეს ყაიმი შესთავაზა, მაგრამ პრეტენდენტმა წინადადება არ მიიღო.

თამაშის გაგრძელებისას ალექსანდრია შეეცადა მეფის ფრთის პაიკების ამოძრავებით გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვებას. გაფრინდაშვილმა ვერ მიაგნო დაცვის სწორ გზას (საჭირო იყო 46. მf3) და ალექსანდრიამ მოსაგები პოზიცია მიიღო, მაგრამ ამ დროს მეტოქენი ცაიტნოტში აღმოჩნდნენ. აჩქარებულ თამაშში პრეტენდენტი უხეშად შეცდა (იგებდა 53. ... h3), როცა კუ შესწირა იმის იმედით, რომ ერთ-ერთი გამსვლელი პაიკი ლაზიერად გავიდოდა. გაფრინდაშვილმა ფიგურა აიყვანა და პაიკების წინსვლაც შეაჩერა.

ასე მოულოდნელად შემოტრიალდა ამ პარტიაში ბედის ჩარხი.

აი, როგორ მოხდა ყოველივე ეს: 41. ეc2 (ჩაწერილი სვლა) 41. ... კd3 42. ეc3 კe4 43. მc7 ე:d4 44. მe6+ მფg6 45. მ:d4 f5 46. მფg1 მd3 47. ეc7 მe1 48. ეe7 g4 49. ეe6+ მფh4 50. მფf2 მ:g2 51. მ:f5 მფg5 52. მd4 g3+ 53. მფe2 მf4+ 54. მფe3 g2 55. მფ:e4 h3 56. მf3 მფg4 57. ეd8 მg6 58. ეd5, შავები დანებდნენ.

თ. გიორგაძე.

* * *

სურათზე: ცაიტნოტი. ნ. გაფრინდაშვილი (მარცხნივ) და ნ. ალექსანდრია დროის ნაკლებობას განიცდიან. მორიგი სვლის მოლოდინში არიან მატჩის მთავარი არბიტრი მ. ფილიპი (ჩეხოსლოვაკია) და დემონსტრატორი თ. ნოზაძე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

თავი გამოიჩინეს

როგორც ვიუწყებოდით, ამას წინათ ბათუმში დამთავრდა მოზარდ ფეხბურთელთა საქალაქთაშორისო ტრადიციული ტურნირი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის გმირის ი. ჯინჭარაძის ხსოვნას.

ბათუმის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეჯიბრების მონაწილეთათვის დააწესეს სამახსოვრო პრიზები. ყველაზე ტექნიკურ გუნდად მიჩნეულია ბათუმის ნორჩი დინამოელი, ხოლო პრიზი „სამართლიანი თამაშისთვის“ გადაეცა ბათუმის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის გუნდს.

ტურნირის საუკეთესო მეკარეა ტაშკენტელი რ. მილუშევი, მცველი — მოსკოველი ვ. ოდინცოვი, ნახევარმცველი — თბილისელი ზ. არჩვაძე, თავდამსხმელი — მოსკოველი ვ. ფედოსოვი. ბათუმელ მ. ჯაყელს გადაეცა ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელის პრიზი.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირები არიან ტაშკენტელი ვ. მუსაევი და ბათუმელი რ. ხავთასი.

ნ. მოლჩანოვა.

ბათუმი.

გუშინ...

ნ. გაფრინდაშვილმა აიღო „წუთშესვენება“ და ნ. ალექსანდრიასთან მისი მატჩის XI პარტია, რომელიც 22 ნოემბრისთვის იყო დანიშნული, არ შედგა. იგი 25 ნოემბერს გაიმართება.

ეძღვნება ქალის საერთაშორისო წელს

დელი. ინდოეთის 1600-ზე მეტი სპორტსმენი ქალი მონაწილეობს აქ მიმდინარე ქალის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილ ეროვნულ სპარტაკიადაში. სპარტაკიადა ეწყობა განათლების, სოციალური უზრუნველყოფისა და კულტურის სამინისტროს თაოსნობით. (საკდესი).

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

I ლიგა

გათამაშების კალენდარი

● ●

მატჩები ნოემბერში

23-24. „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — „ჰორიზონტი" (მინსკი), „პოლიტექნიკა" (კაუნასი) — „ბურევესტნიკი" (დონეცკი).

24-25. „სტროიტელი" (ფრუნზე) — „დინამო" (ვოლგოგრადი), „ბურევესტნიკი" (ლენინაკანი) — „ბურევესტნიკი" (დონის როსტოვი), „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „სპარტაკი" (პენზა).

25-26. „სპარტაკი" (დუშანბე) — „დინამო" (ნოვოსიბირსკი).

26-27. „ტრუდი" (ლენინგრადი) — „ჰორიზონტი" (მინსკი).

27-28. „ბურევესტნიკი" (ლენინაკანი) — „სპარტაკი" (პენზა).

28-29. „სპარტაკი" (დუშანბე) —„დინამო" (ვოლგოგრადი), „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „ბურევესტნიკი" (დონის როსტოვი), „სპარტაკი" (მოსკოვი) — „უნივერსიტეტი" (ტარტუ), ცსკა (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი).

29-30. „სტროიტელი" (ფრუნზე) — „დინამო" (ნოვოსიბირსკი).

უმაღლესი ლიგა

პირველი ქულები

გუშინწინ სვერდლოვსკსა და ალმა-ათაში დაიწყო უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა გუნდების 43-ე საკავშირო ჩემპიონატი.

სვერდლოვსკში ასპარეზობენ სსრ კავშირის ჩემპიონი — რიგის ტტტ, მოსკოვისა და კიევის დინამოელები, ფისკ (ტაშკენტი), სიმ (მოსკოვი) და ადგილობრივი „ურალმაში". ალმა-ათაში გამოდიან ლენინგრადისა და მოსკოვის ოლქის სპარტაკელები, ვილნიუსის „კიბირკშტისი", დნეპროპეტროვსკის „სტალი", კიშინიოვის „ინედორსტროი" და ადგილობრივი „უნივერსიტეტი".

გაიმართა პირველი მატჩები, სადაც მოულოდნელი არაფერი მომხდარა. მოსკოვის დინამოელებმა დაამარცხეს „სერპ ი მოლოტი" — 91:69, კიევის „დინამომ" მოუგო ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის გუნდს — 76:61, რიგის ტტტ-მ კი — „ურალმაშს" 63:52. საყურადღებოა ამ ბოლო შეხვედრის პირველი ტაიმის ანგარიში, რომელიც ლატვიელებმა მოიგეს — 40:12. რამდენადაც სუსტად ითამაშეს მასპინძლებმა პირველ ნახევარში, იმდენად დამაჯერებელი იყო მათი გამოსვლა შესვენების შემდეგ.

ალმა-ათის „უნივერსიტეტმა" მასპინძლის კვალობაზე ძლიერად ითამაშა „კიბირკშტისთან" და გაიმარჯვა — 63:56. ორივე „სპარტაკმა" მოიგო პირველი შეხვედრები: მოსკოვის ოლქის გუნდმა დაამარცხა „სტალი" — 77:63, ლენინგრადის კოლექტივმა აჯობა „ინედორსტროის" — 86:49.

ორიდან — ორი ქულა

თბილისისა და ლენინაკანის „ბურევესტნიკის" კალათბურთელ ქალთა გუნდების განმეორებითმა მატჩმა გუშინწინ მასპინძლებს კვლავ გამარჯვება მოუტანა. სტუმრებმა, რომლებიც ერევანში წყურვილით იყვნენ ანთებული, თავიდანვე ენერგიული შეტევები წამოიწყეს. მაგრამ სულ მალე გახდა ნათელი, რომ ისინი თბილისელებს ჩამოუვარდებოდნენ საკალათბურთო ხელოვნების თითქმის ყველა პუნქტში, განსაკუთრებით კი თამაშის ორგანიზაციაში.

ლენინაკანელი კალათბურთელები უტევდნენ აზარტულად, მაგრამ მათს მოქმედებაში არ იგრძნობოდა ორგანული კავშირი ცალკეულ რგოლებს შორის. ამიტომაც შეტევები ხშირად თბილისელთა ფარის მისადგომებთან წყდებოდა.

მასპინძლებმა უფრო რაციონალური ტაქტიკა აირჩიეს: თამაშის სადავეებს მორიგეობით აძლევდნენ იმას, ვისაც უკეთ გამოსდიოდა სროლა, ვინც უკეთ დირიჟორობდა პარტნიორების მოქმედებას.

პირველ ტაიმში ბრძოლა მაინც ასე თუ ისე თანაბარი იყო, თუმცა 7-ქულიანი უპირატესობა (31:24) საბაბს გვაძლევდა გვეფიქრა, რომ მასპინძლები შესვენების შემდეგ უფრო გაალრმავებდნენ ამ უპირატესობას. ასეც მოხდა. მეორე ტაიმში თბილისელთა უპირატესობა აშკარა გახდა. ასე რომ, ბოლო წუთებში მეტოქეები უფრო ვალს იხდიდნენ, ვიდრე თამაშობდნენ. მასპინძლებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 63:46 და 2 ქულით I ლიგის ტურნირს სათავეში მოექცნენ.

გამარჯვებულთა შორის საუკეთესონი იყვნენ ისევ მიმინოშვილი (16 ქულა) და კვინიკაძე (14). ლენინაკანელთა შორის თავი გამოიჩინა ზუბმა (17).

გ. ნადარაია.

სურათზე: თამაშის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

რთული პროფილი, მძიმე რბოლა

დებულების თანახმად, ველოკროსმენთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ტრასა 20-დან 30 კილომეტრის ფარგლებში უნდა მერყეობდეს. დისტანციის საბოლოო სიგრძეს ამტკიცებს მსაჯთა კოლეგია მისი პროფილის სირთულის გათვალისწინებით. წლევანდელი ჩემპიონატი ჩატარდა გუდაუთის მახლობლად, მეტად რთულ და მრავალფეროვან ტრასაზე. ველოსიპედისტებს უნდა გაევლოთ თავბრუდამხვევი დაღმართები და ძნელი აღმართები, საცალფეხო ბილიკები, შაობიანი და ატალახებული მონაკვეთები. ყოველივე ეს დიდ სიძნელეებს უქმნიდა სპორტსმენებს. ამიტომაც მსაჯთა კოლეგიამ დისტანციის სიგრძე 22,5 კილომეტრით განსაზღვრა. გასავლელი იყო ათი წრე.

შარშანდელისგან განსხვავებით, წლეულს გუნდური პირველობისთვის იბრძოდნენ არა სპორტსაზოგადოებების, არამედ ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები. სულ იყო 6 კოლექტივი: ორი — თბილისიდან, თითო — აფხაზეთიდან, აჭარიდან, ქუთაისიდან და რუსთავიდან.

სტარტიდანვე დაწინაურდა ორი ველოსიპედისტი — დინამოელი ი. ცხოვრებაძე და სპარტაკელი ი. რთველიაშვილი (ორივენი თბილისის პირველი გუნდის ღირსებას იცავდნენ). მაგრამ ერთ-ერთ წრეზე რთველიაშვილს მანქანა დაუზიანდა. ამით ისარგებლა ცხოვრებაძემ, წინ გაიჭრა და დანარჩენი მეტოქეებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. საქართველოს ჩემპიონმა დისტანციის გავლას 1:09.31 მოანდომა.

რთველიაშვილმა ბოლოს და ბოლოს შეინარჩუნა II ადგილი (1:10,51), თუმცა კი მას სერიოზულ მეტოქეობას უწევდა ბურევესტნიკელი რ. წიქაძე (1:13.50), რომელიც ასევე თბილისის პირველი გუნდის ღირსებას იცავდა.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება, ცხადია, თბილისის პირველი კოლექტივის წევრებმა მოიპოვეს. II ადგილი წილად ხვდა დედაქალაქის მეორე გუნდს, ხოლო III — აფხაზეთის ნაკრებს.

რა შეიძლება ითქვას ჩემპიონატზე? პირველ ყოვლისა ის, რომ ბრძოლის პირობები ერთობ რთული და მკაცრი იყო. ალბათ ამიტომ, 8 მონაწილემ ვერ შეძლო დისტანციის დამთავრება (სტარტზე გამოვიდა 43 ველოსიპედისტი).

ზოგიერთმა გუნდმა მეტად დაბალი ტექნიკა და სუსტი ფიზიკური მომზადება გამოავლინა. მაგალითად აჭარამ ამ ასპარეზობაში ექვსის ნაცვლად სამი ველოსიპედისტი გამოიყვანა და ისინიც სულ მალე გამოეთიშნენ რბოლას — ვერ გაუძლეს ტემპსა და პროფილის სირთულეს.

გაურკვეველი მიზეზებით ჩემპიონატში მონაწილეობას თავი აარიდეს ზესტაფონის, ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გუნდებმა. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ზესტაფონმა ვერ გამოიყვანა გუნდი, თუმცა ამ ქალაქში სამი კვალიფიციური მწვრთნელი მუშაობს.

გ. ნადარაია,
(ჩვენი სპეც. კორ.).

გუდაუთა.

ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ

პირველი მერცხლები

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა 1935 წელს თბილისში მოსწავლეთა ცენტრალური სპორტული სკოლა გახსნა. სურათზე, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის „დინამოს" სტადიონზეა გადაღებული, აღბეჭდილია ამ სკოლის მძლეოსანთა პირველი ჯგუფი. იგი სტადიონის გახსნისადმი მიძღვნილი ამიერკავკასიის მძლეოსნური შეჯიბრებისთვის ემზადებოდა.

დგანან (მარცხნიდან) — ა. ოჩიგავა (მწვრთნელი), ა. ქარცივაძე, თ. ბერელაშვილი, ო. ჭეიშვილი, ა. ობრაზცოვი, მ. ცხვედაძე (მწვრთნელი); მეორე რიგში — ნ. მიქელაძე, რ. გოკიელი, ვ. ბეჟანოვა, ს. ჩარკვიანი; პირველ რიგში — თ. ბაქრაძე, ა. რუხაძე, დ. გრიგორაშვილი, ლ. ბერძენიშვილი, ნ. ჟიდკო.



სპორტზეა დიდი ხელბურთი

კიევი, 21 ნოემბერი (საქდესის კორ. ს. ბელოვი). სპორტსმენი ქალი ბურთის ტყორცნის დროს; დედამიწის სფერო და წარწერა: სსრ კავშირი, 1975 — ხელბურთელ ქალთა გუნდების VI მსოფლიო ჩემპიონატის ამ ემბლემას ახლა უკრაინის დედაქალაქის ქუჩებში და მოედნებზე ყოველ ნაბიჯზე ნახავთ. ასპარეზობა აქ უნდა ჩატარდეს დეკემბრის პირველ რიცხვებში. პირველობის საორგანიზაციო კომიტეტი უკვე თითქმის ნახევარი წელია დაძაბულად მუშაობს ტურნირის მოსამზადებლად: აი, რა უამბო საქდესის კორესპონდენტს საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა, კიევის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გ. მენჟერესმა:

— ჩვენს ქალაქს საერთაშორისო სპორტის სარბიელზე დიდი ავტორიტეტი აქვს. კიევში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატები ცხენოსნურ სამჭიდსა და ცხენის გაწვრთნაში, კონტინენტის იუნიორ მოკრივეთა პირველობა, დიდი საერთაშორისო ტურნირები მძლეოსნობაში, ცურვაში, ჭიდაობაში. მაგრამ მსოფლიო პირველობის ფინალს პირველად ვატარებთ. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონებს, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელებს — კიევის „სპარტაკის" ხელბურთელ ქალებს.

VI მსოფლიო ჩემპიონატში, პირველობის მასპინძლების გარდა, მონაწილეობას მიიღებენ 11 ქვეყნის: უნგრეთის, გდრ-ის, დანიის, ნორვეგიის, პოლონეთის, რუმინეთის, აშშ-ს, ტუნისის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, იაპონიის გუნდები. წინასწარი თამაშები ჩატარდება, აგრეთვე, ვილნიუსსა და დონის როსტოვში.

შეჯიბრება ჩატარდება საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უდიდეს სარბიელზე — 7000-ადგილიან სპორტის სასახლეში. მთავრდება მოსამზადებელი სამუშაოები, დაგება ფენოვანი ელასტიკური საფარისა, რომელმაც წარმატებით ჩააბარა გამოცდა ამ ზაფხულში სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში. პრეს-ცენტრში ყველაფერი მზადაა 100-ზე მეტი ჟურნალისტის მისაღებად. ყველა მატჩის შედეგებს დაამუშავებს ელექტრულ-გამომთვლელი მანქანა. ამ შედეგებს ოპერატიულად მიიღებენ მსაჯებიცა და კორესპონდენტებიც.

მსოფლიო პირველობის მონაწილენი დაბინავდებიან კიევის სასტუმროებში, რომლებიც 50 წუთის სავალზეა სპორტის სასახლიდან. ტრადიციისამებრ, ყოველ გუნდს ეყოლება შეფები — უკრაინის მსხვილი საწარმოებისა და დაწესებულებების კოლექტივები. მედგა ვრცელი კულტურული პროგრამა. მაგალითად, სპორტსმენებისთვის კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრში სპეციალურად იქნება წარმოდგენა.

მსოფლიო ჩემპიონატისთვის გამოვა სამკერდე ნიშნები, ბუკლეტები, მზადდება სუვენირები. კიევის მხატვრული მინის ქარხნის საუკეთესო ოსტატები აკეთებენ უნიკალურ თასებს ჩემპიონისა და პრიზიორებისთვის.

„ლელო" წერილის კვალდაკვალ

„არტეკიდან ესტაფეტა მიღებულია"

ამ სათაურით „ლელოს" 30 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ მშდ კომპლექსის მრავალჭიდში საქართველოს ნაკრების საერთო კრებამ ბაქოს საკავშირო ჩემპიონატში ასპარეზობის წინ სპორტსმენისთვის შეუფერებელი საქციელის გამო გუნდის რიგებიდან გარიცხა საქართველოს და „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს ნაკრების მწვრთნელი ნ. ახალშენიშვილი და უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 2 რესპუბლიკური სკოლის თანამედროვე ხუთჭიდელთა დამხმარე მწვრთნელი ნ. ვართანოვი.

უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 2 რესპუბლიკური სკოლის დირექტორი გ. ზაალიშვილი გვატყობინებს, რომ ნ. ვართანოვი ლოთობისა და ბაქოში გამგზავრებისას ჩადენილი უტაქტო საქციელისთვის, რისთვისაც იგი გუნდიდან გარიცხა და საქართველოს ნაკრები დაალალატა, გათავისუფლებულია სამსახურიდან.

რედაქციისგან: საინტერესოა, რატომ სდუმან ის ორგანიზაციები, სადაც ნ. ახალშენიშვილი მსახურობს? რატომ არაფერს გვატყობინებენ მის მიმართ მიღებული ზომების შესახებ.

მათი არდავიწყება...

ძია მიშა, სპი, „ტონო"

მწვრთნელი

ძია მიშა.

შინაგანად იგი ერთობ ინტელიგენტური იყო: განათლებული, სავსე იმ ცხოვრებისეული სიბრძნით, რომლითაც კაცნი ხშირად ამაყობენ, მაგრამ იშვიათად არიან დაჯილდოებული. თავისებურად გონებამახვილი იყო, ხალხში ცოტა. გულჩახვეული: თავისი შინაგანი ცხოვრებით ცხოვრობდა.

უყვარდა ხუმრობა, იუმორი, მეტსახელები ...უხეშობას არ გაპატიებდა. მთელი არსებით სძაგდა ფამილარობა.

ლამაზი და ყველგან თვალში მოსახვედრი, არც ანგელოზი იყო, არც ასკეტი ბერი. არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ ყოფილა, არაფერი...

ბავშვები უყვარდა. თავისებურად, ძუნწად. საუცხოოდ ესმოდა მათი ფსიქიკა. მოღვაწეობდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გამორჩენილ პედაგოგთა კოლექტივში: ვახტანგ ქარსელაძესთან, გერონტი ბაბახინიდისთან, თამარ გეგელაშვილთან...

იგი მოწოდებით ჭეშმარიტად პედაგოგი იყო, განუმეორებელი, არა ტრადიციული — მწიგნობრული, არამედ თავისებური. წუთშესვენების დროს შეეძლო ერთისთვის ტყავი გაეძრო, მეორისთვის თავზე ხელი გადაესვა — ორი თანაბარი დამნაშავისთვის. არა სიმპათიის გამო, არამედ თითოეულის ბუნების ცოდნით. მაშინ ვერავინ ამჩნევდა ამას, ყველაფერი ისე ბუნებრივი იყო. ახლა გაგვახსენდა.

ხშირად მოგვაგონებდა: ცხოვრებაში მთავარი სწავლააო. უყვარდა და პატივს სცემდა ფრიადოსნებს. თავისი აღსაზრდელების მშობლებთან უსიამოვნება არასდროს მოსვლია. ნდობას იწვევდა მათში, მაგრამ მაინცდამაინც არ დაიახლოვებდა.

ჭაბუკთა გუნდების შეჯიბრებაზე წასული ტალონების ნაწილს ფულზე გადაახურდავებინებდა კაპიტანს და მასვე უტოვებდა კოლექტიურად სახარჯავად. არ ვიცი, რამდენად დასაშვებია ეს წესების მიხედვით, მაგრამ მორალური თვალსაზრისით — ვიცი. მოგზაურობის დროს იგი თავისებურ კომუნას ქმნიდა.

ბევრჯერ მოუგია ჭაბუკთა შეჯიბრება, არა მწვერვალს მიღწეული, ლიმონივით გამოწურული გუნდით, არამედ მომავლის კოლექტივით, რომელიც „ა" კლასის პოტენციურ მოთამაშეთაგან შედგებოდა.

მან შეძლო განათლების განყოფილების ჭაბუკთა გუნდით ოფიციალურ, პრინციპულ მატჩში დაემარცხებინა „დინამო". უპრეცედენტო ფაქტია.

მან იმდენი კალათბურთელი აღუზარდა „ა" კლასს, მარტო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა.

მიშა კეკელიძე მეტისმეტად რთული, გამორჩეული პიროვნება იყო საიმისოდ, რომ ერთბაშად ან თუნდაც ხანმოკლე ნაცნობობით ამოგეცნო, გაგეგო.

იგი იმ ნიჭით მადლცხებულ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთა ქცევა კამათსაც იწვევს, დისკუსიასაც, გაოცებასაც, მაგრამ რომელთა აზრს მუდამ იშველიებენ, პატივს სცემენ.

არც არაკეთილმოსურნენი ივიწყებდნენ მას, აკრიტიკებდნენ, ზურგს უკან ჩურჩულებდნენ: როგორც მწვრთნელი, კეკელიძე ერთფეროვანიაო, მაგრამ იგი მატჩს მატჩზე იგებდა, ტურნირს — ტურნირზე და ამ ერთფეროვნებით მოედანზე ანადგურებდა ქაღალდის თეორეტიკოსებს.

იგი არ იყო გამომგონებელი, ზენოვატორი მწვრთნელი, როგორიც კნიშია ტანვარჯიშში, მაგრამ, სასაცილოა, რა თქმა უნდა, იმის გაფიქრებაც კი, რომ პროფესიული თვალსაზრისით მიშა კეკელიძე ვინმეს ტოლს დაუდებდა.

კეკელიძის გუნდის მოჩვენებითი პრიმიტიულობა ტაქტიკური თვალსაზრისით იმით იყო ნაკარნახევი, რომ მან სრულყოფილად შეისწავლა ქართული კალათბურთის ფსიქოლოგიური თავისებურებები და ეროვნული ხასიათი, ფხიზელი თვალით აფასებდა გუნდის შესაძლებლობებს და შესაბამის ტაქტიკას არჩევდა.

ტაქტიკური თვალსაზრისით მან სრულყოფამდე მიიყვანა პირველი იერიში როგორც „სტროიტელმა" — ზონური პრესინგი. როცა პოლიტექნიკურის ოთხი, ხშირად ხუთი მოთამაშეც კი იერიშში ჩაებმებოდა, თითქოს არ იყო ქვეყნად ძალა, რომელიც ამ სტიქიონს შეაჩერებდა.

ზოგჯერ მიშა კეკელიძეს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ იგი, ჭაბუკთა საუკეთესო გუნდის მწვრთნელი, სხვა კოლექტივებიდან იწვევდა მოთამაშეებს. არ ვიცი, შეიძლება ასეც იყო, თუმცა მე ვფიქრობ: მოთამაშენი თვითონ მიილტვოდნენ მისკენ, გარდა ამისა, მიშა კეკელიძე თავისთან მიწვეულ კალათბურთელებს უქმად არ აცდენდა, ზრდიდა, უმაღლეს კონდიციებამდე აჰყავდა. რამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა დაიკარგა კალათბურთისთვის შეიძლება იმიტომაც, რომ მის ხელში ვერ მოხვდა; რამდენი ერთ დონეზე გაიყინა პოლიტექნიკურიდან წასვლის მერე, რამდენი „ძე შეცთომილი" დაბრუნდა.

მიშა კეკელიძეს ჭაბუკ მოთამაშეთა შეფასებისას რენტგენისებური თვალი ჰქონდა. ბევრი ერთი შეხედვით უპერსპექტივო ახალგაზრდა მან ნამდვილ კალათბურთელად აქცია. ბევრ „პერსპექტიულზე" უარი თქვა: იგი ამ მხრივ კატეგორიული იყო, არასდროს ატყუებდა მოთამაშეებს და არც თავს მოიტყუებდა.

ზოგჯერ ცდებოდა კიდეც, მაგრამ იშვიათად, ძალიან იშვიათად.

მიშა კეკელიძე არ ეკუთვნოდა იმ დესპოტ მწვრთნელთა რიცხვს, ერთხელვე გულდასმით დამუშავებული გეგმის მკაცრად შესრულებას რომ მოითხოვენ მუდამ. იშვიათი გამონაკლისის გარდა, იგი საერთო გეზს იძლეოდა და ყოველმხრივ ცდილობდა მოთამაშეთა შემოქმედებითი აქტივობა განევითარებინა, რისთვისაც გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებდა მათ. ეს იყო მწვრთნელი-დემოკრატი, რომელსაც ხწამდა მოთამაშისა და ენდობოდა მას.

კალათბურთის პროფესიული გაგებისა და აუცილებელი, სტანდარტული ჩვევების დონე უჩვეულოდ მაღალი იყო როგორც სპი-ში, ისე „ტონოში". უფრო მეტიც: ამ გუნდებში მუდამ იყო ორი-სამი „მოთამაშე" მწვრთნელი.

უმნიშვნელოვანესი პრობლემა — მწვრთნელისა და გუნდის ურთიერთობისა — ბრწყინვალედ იყო გადაწყვეტილი.

ჩვეულებრივი საწვრთნელი მეცადინეობების გარდა, მისი გუნდების მოთამაშენი დამოუკიდებლადაც ვარჯიშობდნენ: დილით, ყოველ თავისუფალ წუთს, ყოველგვარ ამინდში, თავად არჩევდნენ მატჩებს, თავად კამათობდნენ, ოცნებობდნენ და გამომგონებლებიც თავადვე იყვნენ. მწვრთნელი ყურადღებით უსმენდა. იშვიათად ჩაერეოდა, არსებითს და გადამწყვეტს იტყოდა.

და რასაც იტყოდა, დაუყოვნებლივ სრულდებოდა.

მახსოვს ძია მიშა წუთიერი შესვენების დროს. განუმეორებელი იყო. ბრწყინვალე ფსიქოლოგს, შეეძლო რაღაც წამებში ეკარნახა, დახმარებოდა, შთაეგონებინა, ისეთი ემოციური ბიძგი მიეცა მოთამაშისთვის, რომ იგი მყისვე გარდაიქმნებოდა.

თამაშის წინ საბრძოლველად განაწყობდა გუნდს. იტყოდა ცოტას, მაგრამ ზუსტად. ზოგჯერ პასუხისმგებლობის გრძნობის აუცილებლობასაც მოაგონებდა. მაშინ ეს ზოგჯერ მალულ ღიმილს იწვევდა, ახლა ყველაფერი გასაგებია: ეს სიტყვები ნაკარნახევი იყო შეუპოვარი, ყოველდღიური მუშაობით, რისი საზღაურიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლით მოპოვებული გამარჯვება უნდა ყოფილიყო.

უნდა გავიმეორო: მიშა კეკელიძე ღრმად ინტელიგენტური ადამიანი იყო. მოთამაშენიც ინტელიგენტური იყრიდნენ თავს მასთან. შეიძლება მისგან გადაეცემოდათ, შეიძლება თავად ცდილობდნენ ასეთები ყოფილიყვნენ... არც თავზე ხელაღებულებს ერიდებოდა, იცოდა, რომ ვერც შეკრებების, ვერც შეჯიბრებების დროს ზომიერების ფარგლებს ვერ გასცდებოდნენ. რიგითი საწვრთნელი მეცადინეობის დღეებში მოთამაშეთაგან სპარტანულ ცხოვრებას არ მოითხოვდა, თუმცა ასეთებს პატივს სცემდა და მაგალითად უსახავდა სხვებს.

ყველამ იცოდა საზღვარი, ზომა. იცოდნენ: რა, სად, როდის!

ყველასთან შეეძლო საერთო გამოენახა, სპორტდარბაზის ცეცხლფარეში იქნებოდა იგი, თუ ხელმძღვანელი მუშაკი. მას გულთბილი ურთიერთობა ჰქონდა იმ სპორტდარბაზების დირექტორებთან, სადაც სპი-სა და „ტონოს" გუნდები ვარჯიშობდნენ — ნიკოლოზ ჯანიაშვილთან და ბათუ კანდელაკთან. აქ არ იყო არც ზოგიერთი მწვრთნელისთვის დამახასიათებელი ქედმაღლობა — იყო ერთმანეთის მიმართ კეთილად განწყობილი ხალხის საქმიანი ურთიერთობა. უფრო მეტიც, მიშა კეკელიძე, რომელსაც არ უყვარდა გარეშეთა ჩარევა გუნდის საქმეში, კარნახი, რჩევა-დარიგება, ხშირად დიდხანს საუბრობდა ერთთანაც და მეორესთანაც გუნდის ცხოვრებაზე. მათს შეხედულებას იგი დიდად აფასებდა. ნიკოლოზ ჯანიაშვილიც და ბათუ კანდელაკიც სრულუფლებიანი წევრები არიან სპი-ს და „ტონოს" ყველა თაობის გუნდებისა.

მსაჯებთან კორექტული იყო. გამარჯვების შემდეგ მადლობას უხდიდა, წაგების შემდეგ — ასევე. მსაჯები მის მიმართ მოკრძალებას იჩენდნენ.

ისინი, ვინც პირველმა ირწმუნა მიშა კეკელიძის, როგორც მწვრთნელის ძალა, ჩააბა იგი მუშაობაში, შემდეგაც ყოველმხრივ ეხმარებოდნენ. ისიც დიდ პატივს სცემდა მათ — საქართველოში ჭაბუკთა და სტუდენტთა სპორტის განვითარების აღიარებულ ორგანიზატორებს დ. ფავლენიშვილსა და მ. ცხვედაძეს.

სპორტულ ჟურნალისტთა ვალია დაწერონ მათს შესახებ, განაზოგადონ მათი გამოცდილება. ეს განსაკუთრებით საჭიროა ახლა, როცა ასე ძალიან გვაკლია მათი მასშტაბის მოღვაწენი.

როცა მიშა კეკელიძეზე ლაპარაკობ, არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღნიშნო, რაოდენ ბევრს ნიშნავდა მისთვის ოჯახი და საქართველო.

ოჯახის პრიორიტეტი, ჩემი აზრით, მის შეგნებაში ურყევი იყო. ეს იყო ნაწილი მისი სულისა, მუდმივი და უცვლელი. ეს იგრძნობოდა ყველგან და ყოველთვის — წვრილმანებში, რეპლიკებში, თუმცა ხმამაღლა არასდროს ყოფილა თქმული. მიშა კეკელიძე სანიმუშო მეოჯახე იყო, პურმარილიანი, ხელგაშლილი მასპინძელი, მოყვარული ქმარი, ყურადღებიანი მამა, ბოლო წლებში — გულჩვილი და მზრუნველი პაპა...

მშობლიური მხარის სიყვარული, პატრიოტიზმი — არა ბანალური, ხელში ყანწით და პათეტიკური სადღეგრძელოებით, არამედ შეგნებული, საქმით განმტკიცებული — ეს მთელი მისი ცხოვრება იყო.

ლიტერატურის საუცხოო მცოდნე და ფაქიზი დამფასებელი, უამრავ ლექსს გეტყოდათ ზეპირად, თუმცა ხალხში არ უყვარდა თავისი ცოდნის გამოჩენა. მოსმენა ერჩია. კარგად იცოდა საქართველოს ისტორია. სერიოზულად იყო დაინტერესებული თეატრით.

საინტერესო ფაქტია: მიშა კეკელიძის აღზრდილთა შორის არიან დოცენტები, მეცნიერებათა კანდიდატები, ხელმძღვანელი მუშაკები, მასწავლებლები, ინჟინრები, ტელეპათიც კია ერთი... მხოლოდ მწვრთნელები არ არიან, კალათბურთის სპეციალისტები. ესეც სიმპტომურია, ვინაიდან სპი მოყვარულთა კოლექტივია, ძია მიშას კი ასე სწამდა: „გატაცებას წუთი შევწიროთ, სპეციალობას — მთელი ცხოვრება".

იქნებ ამიტომაც მოხდა, რომ გუნდიდან წასვლისას იძულებული შეიქნა „უცხო კაცი" მოეწვია. ასეთი კაცი კი, თუნდაც თვით ჩემკოვი ყოფილიყო, ვერასდროს შეძლებდა იმ სახელოვან ტრადიციათა გაგრძელებას, რომელთა შექმნაშიც თავად არასდროს მიუღია უშუალო მონაწილეობა.

მიშა კეკელიძეს ბევრი რამ აკავშირებდა კიროვის სახელობის პარკის სტადიონთან. აქ პატარები უყურებდნენ მისი გუნდების თამაშს, დგამდნენ პირველ ნაბიჯებს სპორტის გზაზე, აქვე სწავლობდნენ მისგან, იზრდებოდნენ, იწვრთნებოდნენ, იმარჯვებდნენ. მე ვფიქრობ, კალათბურთის ყველა ჭეშმარიტი მოყვარული დიდად კმაყოფილი იქნება, თუ სტადიონს დაერქმევა მიხეილ კეკელიძის — გამოჩენილი ქართველი მწვრთნელის, შესანიშნავი პედაგოგის, ინტელიგენტის, საბჭოთა კალათბურთის ბრწყინვალე ოსტატის სახელი.

მე მუდამ მიყვარდა ძია მიშა და არ მერიდებოდა ამის გამხელა. ცნობილი კალათბურთელი ვერ გავხდი, ჩვენი გზები გაიყარა, მაგრამ მასთან ყოველი შეხვედრა უდიდეს სიხარულს მანიჭებდა...

უკანასკნელად ინსტიტუტში შევხვდი. ძალიან გამხდარი იყო. თავი ვერ შევიკავე, შეშინებულმა ვკითხე:

— რა დაგემართათ, ძია მიშა?

არაფერი მიპასუხა ნაღვლიანად გაიღიმა მხოლოდ.

...გავიდა ხანი, გაოგნებული დიდხანს უაზროდ დავცქეროდი „ლელოს". ვერც კი ვამჩნევდი რომ შუა რუსთაველზე ვიდექი და გამვლელები გაოცებით მაკვირდებოდნენ.

...ახლაც ზოგჯერ, კალათბურთის მატჩებზე რომ ვარ მიამიტი ბავშვივით მგონია, წუთშესვენების დროს დაბალი მერხიდან სწრაფად წამოდგება ძია მიშა, მოთამაშეებთან მივა, ჩაცუცქდება, როგორც იცოდა, მხოლოდ მისთვის ჩვეულ პოზაში და გამართული შუა თითის ჟესტიკულირებით რაღაცას იტყვის, ენერგიულად, ტემპერამენტით...

იგი ადრე წავიდა ჩვენგან, მაგრამ ბევრი სიკეთის დათესვა მოასწრო. ღმერთმა ქნას, საქართველოს მიწას ბევრი გაეზარდოს ასეთი შვილი.

ა. მშვენიერაძე.

დასასრული. იხ. „ლელო" № 282.

მზარდი ოსტატობა

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს მოსწავლეთა რესპუბლიკური პირადი პირველობა ძიუდოში. საასპარეზოდ თავი მოიყარეს თბილისის, აჭარის, ქუთაისის, გორის, კასპის, ხაშურის, ზესტაფონის, მესტიის, ლენტეხისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლებმა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გორელი მაყურებელი მოხიბლული დარჩა მოსწავლეთა ჭიდაობის ხილვით. განსაკუთრებით მწვავე, დაძაბული და სანახაობრივად საინტერესო იყო 65 კგ წონით კატეგორიაში თბილისელი თამაზ კარიაულისა და მცხეთელი ნიკოლოზ მუხიაშვილის შერკინება. გამარჯვების საკითხის გარკვევა მსაჯებს მიენდოთ, რომლებმაც უძლიერესად კარიაული მიიჩნიეს.

არანაკლებ საინტერესო იყო 75 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეების, ზესტაფონელი შოთა მაჭავარიანისა და გორელი ელგუჯა ბერუაშვილის შეხვე-

ლი ძალით ვერ იჭიდავა. გაიმარჯვა მაჭავარიანმა.

ქებას იმსახურებენ გორელები მ. პაიჭაძე, გ. იმერლიშვილი, ხაშურელი გ. ლომიძე, თბილისელები მ. მაისაძე, დ. ჯანგირაშვილი, ლენტეხელები გ. ხაბულიანი და გ. გუგავა, რომლებმაც კარგი ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება გამოავლინეს.

ტურნირში პირველ სამ ადგილზე გასული ძიუდოისტები და ის მწვრთნელები, რომლებმაც ჩემპიონები მოამზადეს, დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და სიგელებით.

დაკომპლექტდა მოსწავლეთა ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო ტურნირში.

გაგაცნობთ პრიზიორებს:

58 კგ. 1. რ. ჩივაძე (თბილისი), 2. გ. ბიბილაშვილი (გორის რაიონი), 3. გ. იმერლიშვილი (გორი) და ბ. ზურაბაშვილი (თბილისი).

65 კგ. 1. თ. კარიაული (თბილისი), 2. ნ. მუხიაშვილი (მცხეთა), 3. გ. ხაბულიანი და გ. გუგავა (ორივე — ლენტეხი).

75 კგ. 1. შ. მაჭავარიანი (ზესტაფონი), 2. ე. ბერუაშვილი (გორი), 3. დ. ჯანგირაშვილი (თბილისი) და შ. წიკლაური (გარდაბანი).

85 კგ. 1. გ. გოლუბიანი (ორჯონიკიძე), 2. გ. ლომიძე (ხაშური), 3. რ. ზაბაევი და მ. მაისაძე (ორივე — თბილისი).

მძიმე. 1. მ. პაიჭაძე (გორი), 2. ი. კურდღელაშვილი (თბილისი), 3. ჯ. ბლიაძე (თბილისი) და კ. კორობაშვილი (გარდაბანი).

ი. იმერლიშვილი,
სპორტის ოსტატი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გორი.

მხოლოდ ტექნიკური შედეგები...

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი, 4-5 ნოემბერი. მოსწავლეთა საშემოდგომო რესპუბლიკური პირველობა მძლეოსნობაში. გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები.

გოგონები. რბენა. 100 მ. ს. ძნელაძე (აჭარა) — 12,8; 200 მ. მ. არა-

400 მ. ა. კუროვსკაია (თბილისი) — 1.03,0; 800 მ. ლაპილშჩიკი (ახალციხე) — 2.22,4. ესტაფეტა. 4×100 მ. თბილისი — 52,6; 4×400 მ. თბილისი—4.17,6. სიგრძეზე ხტომა. გ. ქორფაშვილი — 540. სიმაღლეზე ხტომა. ქ. გოლოვკოვა (ორივე — თბილისი) — 160. შუბის ტყორცნა. რ. ჭინჭარაული (ინტერნატი, საგარეჯო) — 36,60. ბადროს ტყორცნა. მ. ლაზარაშვილი (თბილისი, პირადი) — 38,90. ბირთვის კვრა. ა. მარგოშვილი (ინტერნატი, ახმეტა) — 12,87. ხუთჭიდი. მ. ჯავახიშვილი (თბილისი) — 3260.

ვაჟები. რბენა. 100 მ. ა. ბა-

ლაშვილი (თბილისი) — 10,7; 200 მ. ი. კოჩიევი (რუსთავი) — 24,1, ა. ნიკოლაიშვილი (მახარაძე) — 24,1; 400 მ. ვ. ომელჩენკო — 53,8; 800 მ. ლ. ტერსენოვი (ორივე — თბილისი) — 2.02,0; 1500 მ. გ. გვარამაძე (ახალციხე) — 4.21,9; 5000 მ. თ. ლომიძე (თბილისი, პირადი) — 17.05,4. ესტაფეტა. 4×100 მ. თბილისი — 44,7; 4×400 მ. თბილისი — 3.37,7. თარჯრბენი. 110 მ. ლ. ფარცვანია (ინტერნატი, ხობი) — 15,7; 400 მ. ვ. ტიტოვი (აფხაზეთი) — 58,6, ვ. მითაგვარია (რუსთავი) — 58,6. 2000 მ. წინაღობებით. ი. კოსიხი (თბილისი) — 6.39,7. 10 კმ-

ჰუსეინოვი — 49.38,7. სიგრძეზე ხტომა. გ. ონანოვი — 701. სიმაღლეზე ხტომა. ვ. ნოზაძე — 195. სამხტომი. ბ. კოვალსკი (ყველა — თბილისი) — 13,93. ჭოკით ხტომა. ე. არუთინიანი (თბილისი, პირადი) — 360. ბადროს ტყორცნა. ა. მჭედლიძე (თბილისი) — 41,26. შუბის ტყორცნა. თ. ბურკიშვილი (ინტერნატი, ახმეტა) — 50,10. უროს ტყორცნა. ვ. დელიბაშვილი (თბილისი) — 53,82. ბირთვის კვრა. ო. კისელიოვი (ფოთი) — 12,09. ათჭიდი. ზ. ზურაბიშვილი (ინტერნატი, ახმეტა) — 6574.

ა. მაღრაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე

ჩვენს სპორტსმენებზე წერენ

ჩვენი მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება ამონაწერი ჟურნალ „დოოკოლო სვიატიდან“: „ცნობილია, რომ მსოფლიოს საუკეთესო კლუბები, ისეთები, როგორიც არიან იტალიის „ინტერი“, შოტლანდიის „სელტიკი“, ჰოლანდიის „აიაქსი“ სერიოზულ კრიზისს განიცდიან. რა მოხდება, თუ ასეთი კრიზისის ხანა კიევის „დინამოს“ დაუდგება? რა ელის მაშინ ნაკრებს, რომელიც ამ გუნდის გარეშე არ არსებობს? ამიტომ პრესაში არ წყდება მოწოდება სხვა მოწინავე კლუბების დონის ამაღლებისკენ. აცხადებენ, რომ საჭიროა კიევის „დინამოს“ ძალის, სულ ცოტა, კიდევ ერთი გუნდი.

რომელი გუნდი იქნება კანდიდატი, რომელი შეძლებს მეტოქეობა გაუწიოს კიეველ ვარსკვლავთა ანსამბლს? ერევნის „არარატი“? თბილისის „დინამო“? ან იქნებ მოსკოვის რომელიმე გუნდი — „სპარტაკი“ ან „ტორპედო“ გაიხსენებენ ყოფილ დიდებას? ვნახოთ“.

ჩვენ უკვე ბევრჯერ დაგვიწერია, თუ რაოდენ პოპულარულია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიქტორ სანეევი. აი, ახლაც ჟურნალი „პშიიაზნი“ ბეჭდავს ნარკვევს „სოხუმელი კენგურუ“, რომლითაც მკითხველს შესანიშნავი საბჭოთა სამხტომელის სპორტულ ბიოგრაფიას აცნობს. ნიცაში გამართული ევროპის თასის გათამაშების რეპორტაჟში „ტრიბუნა ლიუდუ“ წერდა: „მართლა მნიშვნელოვანი მიღწევები, მსოფლიოს ან ჩვენი კონტინენტის რეკორდებს მიახლოებული, ცალი ხელის თითებზე შეიძლება ჩამოითვალოს“. გაზეთი ასეთ მიღწევებს აკუთვნებს სანეევის შედეგს სამხტომში.

აი, როგორ იწყებს „პშიიაზნი“ ანგარიშს ათენში გამართული ევროპის იუნიორთა ჩემპიონატის შესახებ: „გუნდურ ჩათვლაში ნატაშა ჩიჟოვას და ვიქტორ სანეევის მემკვიდრენი მხოლოდ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს ჩამორჩნენ, ჩამოიტოვეს გფრ-ის, დიდი ბრიტანეთისა და პოლონეთის ძლიერი კოლექტივები“.

სხვა ნომერში „პშიიაზნი“ იხსენებს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა პირველ გამოსვლას ჰელსინკის 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებში, ბრწყინვალე გამარჯვებას საბჭოთა ბადროს მტყორცნელი ქალებისას, რომელთაგანაც ერთ-ერთი მსოფლიო რეკორდსმენი, ლეგენდარული ნინო დუმბაძე იყო.

ჟურნალი „რუმინია“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში ბეჭდავს ფოტოსურათს, რომელზეც აღბეჭდილი არიან ნინო დუმბაძე და ცნობილი რუმინელი სპორტსმენი ლია მანოლიუ.

პოლონეთის ჟურნალმა „კრაი რადშა“ დაბეჭდა ფოტონარკვევი მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელთა შესახებ, რომელთაც ზედიზედ სამჯერ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონთა წოდება. გუნდის თავდასხმაში 1970 წლიდან თამაშობს ნუგზარ მშვენიერაძე. ჟურნალი ბეჭდავს მშვენიერაძეების „წყალბურთელთა ოჯახის“ ფოტოს წარწერით: „ნუგზარ და გიორგი მშვენიერაძეები წყალბურთელთა უკვე მეორე თაობის წარმომადგენლები არიან. მამა, პეტრე მშვენიერაძე, ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი იყო ორმოცდაათიან წლებში, მონაწილეობა მიიღო სამ ოლიმპიადაში, იყო სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანი. ორივე ვაჟი ასევე ქვეყნის ნაკრებში გამოდის. ნუგზარი უფროსთა გუნდში თამაშობს, გიორგი — იუნიორთა კოლექტივში“.

უძლიერესნი...

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა შარშანდელი სეზონის მიხედვით უძლიერეს მოთხილამურეთა გრძელი სიები როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის. ეს კლასიფიკაციები, ცხადია, ძალიან დიდტანიანია და ამიტომ ყოველ სახეობაში 15 საუკეთესოს დასახელებით დავკმაყოფილდებით

ვაჟები

სწრაფდაშვება

1. კლამერი (ავსტრია), 2. ბერტო, 3. კოლომბენი (ორივე — შვეიცარია), 4. გრისმანი (ავსტრია), 5. ვესტი (შვეიცარია), 6. ტონი (იტალია), 7. რიუსი, 8. რუ (ორივე — შვეიცარია), 9. პლანკი (იტალია), 10. ვინკლერი (ავსტრია), 11. ჰაკერი (ნორვეგია), 12. ფაიტი (გფრ), 13. კორდინი, 14. ვალჰერი, 15. ენგსტლერი (ყველა — ავსტრია).

სპეციალური სლალომი

1-3. გროსი (იტალია), სტენმარკი (შვეცია), ტონი, 4. რადიჩი, 5. დე კიესა (ორივე — იტალია), 6. ჰინტერზეერი (ავსტრია), 7. ნოიროიტერი (გფრ), 8. ბრიუსი (აშშ), 9. ფრომელტი (ლიხტენშტაინი), 10. ტრეში (შვეიცარია), 11. ფერნანდეს ოჩოა (ესპანეთი), 12. პერო (საფრანგეთი), 13. პელჰტი, 14. ჰაუზერი (ორივე — ავსტრია), 15. იუნგინგერი (გფრ).

გიგანტური სლალომი

1-2. გროსი, სტენმარკი, 3-4. ჰაკერი, ჰემი (შვეიცარია), 5. ტონი, 6-7. ჰინტერზეერი, ჯონსი (აშშ), 8. ჰაუზერი, 9. ბლელერი (იტალია), 10. იუნგინგერი, 11. პეჩლი, 12. სოხორი (ჩეხოსლოვაკია), 13. კლამერი, 14. სენონერი, 15. ამპლაცი (ორივე — იტალია).

ქალები

სწრაფდაშვება

1-3. პრიოლ-მოზერი (ავსტრია), ნადიგი, ცურბრიგენი (ორივე — შვეიცარია), 4. ნელსონი (აშშ), 5. მიტერმაიერი (გფრ), 6. დრექსელი (ავსტრია), 7-8. ეპლე, ტრაიპლი (ორივე — გფრ), 9. დებერნარი, 10-11. რუვიე (ორივე — საფრანგეთი), ვენცელი (ლიხტენშტაინი), 12. შროლი, 13. ტოჩნიჰი, 14. შპისი, 15. გფიოლნერი (ყველა — ავსტრია).

სპეციალური სლალომი

1.-3. მორეროდი (შვეიცარია), ვენცელი, მიტერმაიერი, 4. ცეჰმაისტერი (გფრ), 5. პრიოლ-მოზერი, 6. დებერნარი, 7-8. ჯორდანი (იტალია), ბერფაინი (გფრ), 9. ემონე (საფრანგეთი), 10. ნელსონი, 11. კაზერერი (ავსტრია), 12. მანდრიონი, 13. სერა (ორივე — საფრანგეთი), 14. მატისი (ავსტრია), 15. ბეერი (გფრ).

გიგანტური სლალომი

1. პრიოლ-მოზერი, 2. მორეროდი, 3. კაზერერი, 4. სერა, 5-6. კ. კრაინერი (კანადა), ნელსონი, 7. კლიფორდი (კანადა), 8-9. ნადიგი, მიტერმაიერი, 10. ცეჰმაისტერი, 11. გფიოლნერი, 12. შროლი, 13. ჟაკო (საფრანგეთი), 14. ეპლე, 15. ვენცელი.

როგორც კლასიფიკაციიდანაც ჩანს, ვაჟთა შორის სწრაფდაშვებაში ბადალი არ ჰყავს ფრანც კლამერს, მაგრამ იგი ბევრად სუსტია გიგანტურ და, განსაკუთრებით, სპეციალურ სლალომში. სამაგიეროდ, სწორედ ამ ორი სახეობის სპეციალისტები არიან ახალგაზრდები პიერო გროსი და ინგემარ სტენმარკი. ეს სპორტსმენები ბრწყინვალედ ფლობენ სლალომის ტექნიკას, მაგრამ სწრაფდაშვებაში მოიკოჭლებენ.

სამივე სახეობაში 15 უძლიერესს შორის მხოლოდ მსოფლიო თასის მფლობელი გუსტავო ტონი მოხვდა, რაც იმას მოწმობს, რომ სათხილამურო სპორტი მეტად მრავალფეროვანი სახეობაა.

ქალთა შორის უძლიერესთა შემადგენლობანი შედარებით სტაბილურია. აქ სამივე სახეობაში 15 უძლიერესს შორის ოთხი სპორტსმენი მოხვდა. ესენი არიან მსოფლიო თასის ხუთგზის მფლობელი, უდავო ლიდერი ანემარი პრიოლ-მოზერი, ჰანი ვენცელი, როზი მიტერმაიერი და ძლიერი ამერიკელი მოთხილამურე ნელსონი.

(საკ. ინფ.).

• • •

სურათზე: 1974 წლის მსოფლიო თასის მფლობელი, ავსტრიელი ფრანც კლამერი სანკტ-მორიცში (შვეიცარია) სწრაფდაშვებაში ასპარეზობისას.

ცაფ-ის ფოტო.

44-ე ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, 44-ე ტირაჟისა, რომელიც 19 ნოემბერს მოეწყო მოსკოვში.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2505 მანეთია (113 ბილეთი), ოთხისთვის — 43 (6545), სამისთვის — 3 (121747);

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი გამოიცნო ერთმა კაცმა, რომელიც 5000 მანეთს მიიღებს. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 3485 მანეთია (41), ოთხისთვის — 63 (2339), სამისთვის — 4 (48204).

მოგებული თანხა გაიცემა 30 ნოემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით.

(საკდესი).

სპარტაკ ჯეჯელავა



ყოველ ცნობილ მოთამაშეს, რომელსაც გარკვეული კვალი აქვს დატოვებული ფეხბურთში, გააჩნია თავისი სპეციფიკური, სხვებისგან განსხვავებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებები. წლები გადის, თაობები ცვლიან ერთმანეთს, ასეთი გამოჩენილი ფეხბურთელის თვისებებზე კი გულშემატკივრებს არ სწყინდებათ ლაპარაკი.

ასეთი განსაკუთრებული, განსხვავებული თვისება ჰქონდა სპარტაკ ჯეჯელავას. არამარტო ფეხბურთის ძველი მოყვარულები, იმდროინდელი მოთამაშეებიც აღტაცებით იგონებენ საჯარიმო დარტყმების ამ შეუდარებელ ოსტატს. თვით განთქმულ, პირველხარისხოვან მეკარეებსაც კი რისხვასავით ეშინოდათ სპარტაკ ჯეჯელავას ყუმბარისებური დარტყმებისა და, როცა მათ მხარეს ჯარიმა ინიშნებოდა, კარიდან ისმოდა განწირული, შეშფოთებული ხმა: გაამაგრეთ კედელი, დახურეთ ყველა კუთხე! ფრთხილად, ფრთხილად!

ხშირად ამაო იყო ეს ძახილი. ბურთი ტყვიასავით ვარდებოდა ბადეში.

და აი, ვეტერანი ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ ყოფილი მოთამაშე, სპორტის ოსტატი სპარტაკ ივანეს ძე ჯეჯელავა გარდაიცვალა. ხანგრძლივმა, მძიმე ავადმყოფობამ ბოლო მოუსწრაფა 52 წლის კაცს.

იგი დაიბადა 1923 წელს თბილისში, აქ დაამთავრა რკინიგზის მე-8 საშუალო სკოლა და 1940 წელს სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა. შემდგომ თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე მუშაობდა ცეკავშირის სისტემაში სამშენებლო სამმართველოს მთავარ მექანიკოსად.

ფეხბურთის თამაში ს. ჯეჯელავამ ბავშვობაში დაიწყო, გამოდიოდა თბილისის სპორტსკოლის გუნდებში, ომის შემდგომ წლებში კი თბილისის „დინამოს“ იმ თაობის ძირითად შემადგენლობაში დაიკავა ადგილი, რომელმაც ბევრი ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა ქართულ ფეხბურთს, მრავალჯერ გაახარა თავისი წარმატებებით ჩვენი სპორტის მოყვარულები. შემდეგ იგი ერთხანს თამაშობდა მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდში, თბილისის ოფიცერთა სახლის კოლექტივში, მერე კი, როცა თამაშს თავი დაანება, ავარჯიშებდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს, ახალგაზრდა თაობას ზრდიდა თბილისის ცნობილ 85-ე საშუალო სკოლაში.

ფართო ინტერესების მქონე ადამიანი იყო სპარტაკ ჯეჯელავა, პრინციპული, გულმართალი, ყურადღებიანი. მოვალეობის გრძნობა მასში მუდამ მაღლა იდგა, იყო ეს უშუალოდ სპორტულ ასპარეზზე, თავის პროფესიულ საქმიანობაში, თუ ფეხბურთის რესპუბლიკურ ფედერაციაში, სადაც აქტიურად მოღვაწეობდა, მუდამ უანგაროდ ემსახურებოდა საერთო საქმეს, საზოგადოებრივ ინტერესებს. პირად ცხოვრებაში ბედი არ სწყალობდა, ერთადერთი შვილის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ თვითონაც მძიმედ დაავადდა და ნაადრევად წავიდა ცხოვრებიდან. მისი პატიოსანი, მეგობრული, ალალი სახე მუდამ დარჩება ახლობლებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო;
ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია;
ვეტერანი ფეხბურთელები.



„მოხერხებულად ზიხართ?“

ასეთ შეკითხვას აძლევს ინგლისის გაზეთ „დეილი მირორის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ამ სურათის კომენტარის ავტორი ლონდონის მცხოვრებ ჯონ ტოდმანს, რომელმაც დიდი სისწრაფის მისაღწევად და პოპულარობის მოსახვეჭად მოტოციკლს სამი ძრავა დაუდგა, რომელთა საერთო სიმძლავრე „იაგუარის“ მარკის ორი სპორტული ავტომანქანის ძრავებისას უტოლდება.

ადგილიდან სტარტით მოტოციკლს შეუძლია საათში 200 მილი განავითაროს. საწვავად გამოყენებულია განსაკუთრებული, ძვირად ღირებული ნარევი. ასეთი მანქანით ერთ წუთს სიარული 16 გირვანქა სტერლინგი ჯდება.

კონსტრუქტორმა თავის გამოგონებას „ღმერთების ეტლი“ უწოდა. მოტოციკლის შემქმნელმა, როგორც ჩანს, დარწმუნებით არ იცის, როგორ „გამოიჩენს თავს“ ახალი მანქანა პირველი გარბენის დროს და ამჯობინა სურათი გამოცდის დაწყებამდე გადაეღო.

ბ. პანფილოვა.
(„კომსომოლსკაია პრავდა“).

• • •

სურათზე: ჯ. ტოდმანი თავისი უნიკალური მანქანით.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

28 ნოემბერს

საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) მოწვეულია სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს მორიგი, V პლენუმი.

დღის წესრიგი: 1. სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადაში საზოგადოების სპორტსმენთა მონაწილეობის შედეგებისა და XXI ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების მიმდინარეობის შესახებ (მომხსენებელი ვ. ულენტი); 2. „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ III და V პლენუმებს შორის ჩატარებული მუშაობის შესახებ (მომხსენებელი ნ. სომხიშვილი).

დასაწყისი 12 ს.